პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 65

2019 წ. "22" 03

ქ. თბილისი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''ფაზისის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ''ფაზისის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ფაზისს" (ს/კ:215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/ საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	თმის მომსახურება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 080396	61	76	ქართული	10	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54
							10	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი
2	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54
3	სასტუმრო მომსახურება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში 112069	86	116	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54
4	საფინანსო სერვისები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456	51	66	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54
5	შედუღება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	38	53	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 22 მარტი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №5 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე